ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის მუშაკებო! გააუმჯობესეთ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, უფრო აქტიურად დანერგეთ ფიზიკური კულტურა საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№205 (4975)

1973 წ.
17 ოქტომბერი, ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ამ დღეებში თბილისი მასპინძლობს ბევრ სახელოვან მთამსვლელს, რომლებმაც ოქროს ასოებით ჩაწერეს სამირო საქმეები საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაში. ისინი წარმატებით გამოდიოდნენ არა მარტო საკავშირო სარბიელზე, არამედ საზღვარგარეთაც. სწორედ საბჭოთა ალპინიზმის 50 წლისთავს ეძღვნება ღონისძიებანი, რომლებიც ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპიურ კლუბში ტარდება.

* * *

სურათზე: საბჭოთა ალპინიზმის ვეტერანები (მარცხნიდან) — სსრ კავშირის მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარე ა. ბოროვიკოვი, მ. ტუყაძე, ე. კაზაკოვა, მ. ჯინჭარაძე, ე. ლორთქიფანიძე და შ. ძაგნიძე.

მ. ზარგარიანის ფოტო.

საპრიზო ადგილზე

რიგაში დამთავრდა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა თასის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გუნდი, რომელიც ძირითადად თბილისელი სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული, III ადგილზე გავიდა. კარგი შთაბეჭდილება დატოვა თ. სირბილაძემ, რომელმაც ყველა ორთაბრძოლა მოიგო. აღსანიშნავია მისი ეფექტური გამარჯვება საკავშირო ჩემპიონატის მეორე პრიზიორ ს. შევერევთან. სირბილაძეს გადაეცა ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის პრიზიც.

სასიხარულოა, რომ ჩვეულ ფორმას უბრუნდება საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი თ. მაჭავარიანი. იგი ყველა მეტოქისგან გამოირჩეოდა დახვეწილი ოსტატობით. მაჭავარიანმა ოთხი შეხვედრა წმინდად მოიგო, ხოლო მოსკოველ ვ. სტეპანენკოს აშკარა უპირატესობით სძლია.

ჩვენი გუნდიდან ასევე კარგად იასპარეზეს გ. დოგუზაშვილმა, ვ. ანტონოვმა, ნ. მირაქოვმა.

სუსტად ჩაატარეს შეხვედრები საქართველოს ნაკრების წევრებმა ა. ჩალაურმა (48 კგ) და შ. გიგოლაშვილმა (52 კგ). ამ წონებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ, ვინაიდან საქართველოს ნაკრები გუნდურ შეხვედრებს თითქმის ტრადიციულად წაგებით იწყებს, რაც სპორტსმენთა ფსიქოლოგიაზე ცუდად მოქმედებს.

ლ. ხითარიშვილი.

კიდევ ორი ყაიმი

ჰააგაში, ნიდერლანდების კონგრესების სასახლეში გრძელდება ტ. სეიბრანდსისა (ჰოლანდია) და ა. ანდრეიკოს (სსრ კავშირი) მატჩი 100-უჯრიან შაშში მსოფლიო პირველობაზე. ამ შეჯიბრებაში ყაიმით დამთავრდა კიდევ ორი პარტია.

IX პარტიაში რთულმა ბრძოლამ უპირატესობა ვერც ერთ მხარეს ვერ მოუტანა. X პარტიაში ანდრეიკო რისკიანად იბრძოდა, ოღონდ კი წარმატებისთვის მიეღწია, მაგრამ ზომიერება ვერ დაიცვა და მძიმე პოზიციაში აღმოჩნდა. მაგრამ სეიბრანდსს არც უცდია მოგებაზე თამაში. 30-ე სვლაზე იგი ყაიმს დასჯერდა.

მატჩის ანგარიშია 11:9 სეიბრანდსის სასარგებლოდ. უნდა გათამაშდეს ოცივე პარტია.

ძალოსნობა

ლენინგრადელი ჰ. პერვუშინის სახელი ძალოსნურ სამყაროში კარგადაა ცნობილი. იგი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონია. ამავე დროს მას ეკუთვნის ყველა მსოფლიო რეკორდი მძიმე წონის ათლეტთა შორის. მისი სახელი რეკომენდაციებს არ საჭიროებს და ერთგვარად საოცარი იყო, როცა ამ დღეებში უკრაინის ჩემპიონატში როვნოელმა ძალოსანმა ვ. უსტიუჟინმა მსოფლიო რეკორდი ჩამოართვა პერვუშინს აკვრაში. უსტიუჟინის შედეგია 224 კგ, რაც ნახევარი კილოგრამით მეტია მადრიდში ევროპის ჩემპიონატის სარბიელზე პერვუშინის მიერ დამყარებულ მსოფლიო რეკორდზე.

უსტიუჟინი საკმაოდ ცნობილი ძალოსანია. „დინამოს" საკავშირო საიუბილეო სპარტაკიადაში, რომელიც სექტემბერში კიევში ჩატარდა, უსტიუჟინმა უკრაინის რეკორდი დაამყარა აკვრაში (217,5 კგ) და სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა ორჭიდში (377,5 კგ). მან გაუსწრო მსოფლიოს არაერთგზის რეკორდსმენს გ. იაკუბოვსკის. როგორც ხედავთ, 28 წლის უკრაინელი ძალოსნის წარმატება ხარკოვში შემთხვევითი არ გახლავთ.

ჩვენი ქალაქები
რაიცენტრები

კიდევ ერთი სპორტული კომპლექსი

კოლიმის დაბა ბერელეხის განაპირას, სადაც სულ ცოტა ხნის უკან ტრამალი იყო, უკვე აღიმართა ახალი სპორტული კომპლექსის პირველი ნაგებობა — ტირის შენობა. ახლა დაბის მცხოვრებთა განკარგულებაშია კარგი ბაზა სროლაში სავარჯიშოდ, საკლასო ოთახები სამხედრო საქმეში სამეცადინოდ.

დაბის ავტობაზის ფიზკულტურის ენთუზიასტებმა უკვე დაიწყეს მოტოდრომის, ფეხბურთის მინდვრის, ფრენბურთის, კალათბურთისა და რიკაობის მოედნების მოწყობა. ამასობაში მშენებლები მთავარი კორპუსის მშენებლობასაც დაამთავრებენ. ზამთრობით იქ ჩატარდება შეჯიბრებები კრივში, ფრენბურთში, კალათბურთსა და ძალოსნობაში.

სპორტული მშენებლობა დამკვრელური ტემპით მიმდინარეობს. აქ მუდამ ხალხმრავლობაა: დასვენების დღეებშიც კი მოდიან სპორტის მოყვარულები, რათა მშენებლებს მოეხმარონ. სპორტული ბაზების ირგვლივ მათ უკვე დარგეს ორი ათასამდე ალვის ხე, აკეთებენ კლუმბებსა და გაზონებს, გაჰყავთ მომავალი პარკის ხეივნები.

მაგადანი.

ი. დენისოვი.
(სახლესის კორ.).

უმაღლესი ლიგა მოსკოვი

ურისკოდ ვერ მოიგებ

X ტური. ე. გელერი (მოსკოვის ოლქი) — პ. კერესი (ტალინი) 1:0, ტ. პეტროსიანი — ვ. სმისლოვი (ორივე — მოსკოვი) 0,5:0,5, ო. ავერკინი (სვერდლოვსკი) — ა. კარპოვი 0,5:0,5, ვ. კორჩნოი — მ. ტაიმანოვი (სამივე — ლენინგრადი) 0,5:0,5, გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი) — ნ. რაშკოვსკი (კურგანი) 0,5:0,5, მ. ტალი (რიგა) — ე. სვეშნიკოვი (ჩელიაბინსკი) 0,5:0,5, გ. ტუკმაკოვი (ოდესა) — ლ. პოლუგაევსკი (მოსკოვის ოლქი) 0,5:0,5. გადაიდო პარტიები: ბ. სპასკი (მოსკოვის ოლქი) — ვ. სავონი (ხარკოვი), კ. გრიგორიანი (ერევანი) — ა. ბელიავსკი (ლვოვი).

10 ტურის შემდეგ სპასკის 6,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, კარპოვს, კორჩნოის — 6,5-6,5 ქულა, პოლუგაევსკის — 6, პეტროსიანს, კუზმინს — 5,5-5,5, გელერს, რაშკოვსკის — 5-5.

ყურადღების ცენტრში იყო სპასკის შეხვედრა სავონთან.

სპასკის ბრძოლისთვის ვრცელი სარბიელი გადაეშალა. სავონი მხოლოდ დაცვაზე ფიქრობდა და მდგომარეობის გათანაბრება შეძლო. მაგრამ სპასკის მოგება სწადდა და რისკს არ მოერიდა. ექს-ჩემპიონმა მეტოქის მხედარს ცენტრალური ფორპოსტი დაუთმო, მაგრამ თვითონ იერიშს ფრთები ვერ შეასხა და ინიციატივამ თანდათან სავონისკენ გადაინაცვლა. ხარკოველმა დიდოსტატმა მარჯვე თამაშით უპირატესობა გაზარდა. გადადებულ პარტიაში სპასკის პირველი წაგების საფრთხე ემუქრება.

პირველი შეხვედრა მოიგო გელერმა. მან საუცხოოდ გამოიყენა კერესის პასიური მანევრები, ფიგურის ლამაზი შეწირვით და შეუნელებელი იერიშით გაიმარჯვა.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

I ლიგა თბილისი

ეფექტური ფინალი

IX ტური. ვ. ბაგიროვი (ბაქო) — რ. ვაგანიანი (ერევანი) 0,5:0,5, ს. პალატნიკი (ოდესა) — ი. რაზუვაევი 0,5:0,5, მ. დვორეცკი — ე. ვასიუკოვი 0,5:0,5, დ. ბრონშტეინი (ოთხივე — მოსკოვი) — რ. ჯინჯიხაშვილი (თბილისი) 0:1, ვ. ოსნოსი (ლენინგრადი) — ვ. ცეშკოვსკი (ომსკი) 0,5:0,5, ვ. ზილბერშტეინი (ორსკი) — ა. კუინჯი (მოსკოვი) 1:0, ე. გუფელდი (თბილისი) — მ. პოდგაეცი (ოდესა) 0,5:0,5. გადაიდო პარტიები: ს. ფურმანი (ლენინგრადი) — თ. გიორგაძე (თბილისი), ი. კლოვანი (რიგა) — ს. მაკარიჩევი (მოსკოვი).

9 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ფურმანი, ვაგანიანი — 5,5-5,5 ქულა და თითო გადადებული პარტია, ბრონშტეინი, ჯინჯიხაშვილი — 5,5-5,5 ქულა.

მაყურებელი გაიტაცა ბრონშტეინისა და ჯინჯიხაშვილის გაბედულმა თამაშმა. თბილისელი ოსტატი პოზიციურ სისუსტეებს არად აგდებდა და მეტოქეს უტევდა. სიცილიურ დაცვაში ორივე მოჭადრაკემ გრძელი როქი გააკეთა, მაგრამ ამან როდი შეუშალა ხელი იერიშს. გამოცდილი დიდოსტატი მეტოქეს ტაქტიკურ ბრძოლაში აჰყვა. ჯინჯიხაშვილი ენერგიულად თამაშობდა და მისმა ერთმა პაიკმა მე-2 ჰორიზონტალსაც კი მიაღწია.

ბრძოლა ლამაზი ფინალით დასრულდა: ჯინჯიხაშვილი ეტლის შეწირვით თავს დაესხა ბრონშტეინის მეფეს. ლაზიერის დაკარგვის გარდუვალი საფრთხის გამო დიდოსტატი დანებდა.

აი, ეს ფინალიც:

ჯინჯიხაშვილი



ბრონშტეინი

33. ... ე:a4 34. ლ:b2 ეa3 35. ე:d5 ე:d5 36. ე:d5 ლb6 37. კf1 (არ შეიძლებოდა 37. ლ:b4 ეb3+ გამო) 37. ... მფc7 38. ეb5 ლe3 39. ლe2 ეa1+! 40. მფ:a1 ლ:c3+ 41. მფa2 ლa3+ 42. მფb1 ლb3+. ბრონშტეინი დანებდა. 43. მფc1 კg5+ 44. ლd2 ლc3+ და თეთრები ლაზიერს აგებენ.

გიორგაძეც კარგად ეთამაშა ერთ-ერთ ლიდერს — ფურმანს. სიცილიურ დაცვაში მან საკონტროლო უჯრები დაიპყრო და დიდოსტატი შეავიწროვა, მაგრამ მერე რატომღაც პაიკი არ აიღო და ფურმანს ცენტრში მუქარის შესაძლებლობა მისცა. გადადებულ პარტიაში ძლიერია გიორგაძის ლაზიერი, რომელიც თეთრების განლაგებაშია შეჭრილი, მაგრამ ფურმანს კონტრთამაშის შანსი აქვს.

გუფელდმა აჯობა პოდგაეცს და მოსაგები მდგომარეობაც შექმნა. მაგრამ ამ უპირატესობის მიღებას დიდი დრო მოანდომა და ცაიტნოტში მოექცა. ამით ისარგებლა პოდგაეცმა: მხედარი შესწირა, ცენტრში თავისი გამსვლელი პაიკი აამოძრავა და თბილისელის მეფეს შამათით დაემუქრა. მეტოქეებმა სვლების გამეორება დაიწყეს. გუფელდი ყაიმს შეურიგდა.

თ. გიორგაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ალპინიზმი 50 წლისაა

სვანეთი ხშირად ულამაზესი ზღაპარი მგონია, რომლის მსგავსი ბავშვობაშიც კი არსად, არავისგან მსმენია. მე იგი მუდამ ახდენილი ოცნებების სამყაროდ მეჩვენება... ხალხია ენამჭიანი, გულღია, პირდაპირი, ვაჟკაცური შემართების მქონე, კაცის სტუმრობა დღესასწაულად რომ მიაჩნია...

მიგვაქროლებს ზღაპრულ სივრცეში უშანგი ტყილდიანი, ამიერკავკასიაში ერთადერთი ალპინისტური ბანაკის თანამშრომლებს „ფანტომასად" რომ მოუნათლავთ. „გზას ვამბობ, თორემ რა გზაა ვიწრო ბილიკი მთაზედა", — მეჩურჩულება თითქოს დიდებული ვაჟა.

და აი, მოვედით ყორულდაში. თვალწინ საოცრება გადაგვეშალა. წურუნგალასა და აილამას ძირას, მარადიული თოვლისა და ყინულების სამეფოში დაბანაკებულან ჩვენი მასპინძლები — „აილამას" დირექტორი, კავკასიონის, პამირისა და ტიან-შანის გმირი, არაერთი ოქროსა და ვერცხლის მედლის კავალერი, სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ჯოკია გუგავა, რომელსაც გარს ახვევია თავისი შესანიშნავი მრევლი — მოძღვარივით კეთილშობილი, ძლიერი, ნიჭიერი, საქმიანი, გულმართალი და სახენათელი, მოყვარეს რომ მოყვრულად ხვდება და, თუ სადმე ავმა კაცმა გაიჭაჭანა, არც მისი მტრულად დახვედრა გაუჭირდება.

აქ ყველგან „კლდის ვეფხვის" სული ტრიალებს. ბრწყინვალე მთამსვლელები ახალგაზრდებს წვრთნიან მთელი მონდომებით, უზიარებენ მათ ურთულეს ტექნიკურ ხერხებს, უნერგავენ ვარსკვლავეთში აჩახჩახებული მწვერვალების უზომო სიყვარულს.

საბჭოთა ალპინიზმის ნახევარსაუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით ბანაკმა ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩაატარა. მათ შორის აღსანიშნავია ჩვიდმეტდღიანი ტრავერსი (14-30 აგვისტო) „ალიოშა ჯაფარიძე — თეთნულდი", რომლის სულისჩამდგმელი იყო სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი, „აილამას" ინსტრუქტორი, სპორტის ოსტატი გივი წერედიანი.

1973 წელი გივისთვისაც საიუბილეო წელიწადია. უკვე ორი ათეული წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამ შესანიშნავმა ალპინისტმა მთელი გულით შეიყვარა მთა. ამ ხნის მანძილზე მან 20 ურთულესი სიძნელისა და სარეკორდო მნიშვნელობის მწვერვალი დალაშქრა. წერედიანი უშბის ძირას, სოფელ ბეჩოში გაიზარდა. მთელი ჩემი ცხოვრება თოვლში გამიტარებია, — ამბობს გივი. ოღონდაც!.. ბეჩო შემოდგომიდან გაზაფხულამდე თოვლში ნებივრობს, ზაფხულობით კი რაღაც უცნაური ძალა მარადიული თოვლით გადაპენტილი მწვერვალებისკენ იზიდავს გივის.

გივი წერედიანი და მისი ჯგუფის წევრები ახლაც მთელი წლის მანძილზე დიდი მონდომებით ემზადებოდნენ მომავალი ტრავერსისთვის ბაკურიანში, მესტიასა თუ ყორულდაში. სპორტის ოსტატობის კანდიდატები ნუგზარ ნიგურიანი, გელა გუგავა, არსენ რატიანი და ზაქრო მუშკუდიანი ჯერ სრულიად ახალგაზრდები არიან, მაგრამ მათი იმედი აქვს გივის.

დადგა 14 აგვისტოც. სამშაბათია. მშვენიერი დილა გათენდა. აილამასა და წურუნგალას თითქოს ცის ლაჟვარდისთვის მიუბჯენიათ წვერები. გივი წერედიანის ბიჭებმა 25-კილოგრამიანი ზურგჩანთები აიკიდეს და გაუდგნენ გზას ზესხოს ხეობისკენ. გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ჯოკია გუგავამ გზა დაულოცა თავის არწივებს, ტრავერსის „ფრიადზე" შესრულება უსურვა.

რაღაცის მოლოდინში გარინდებულა ხეობა. მყუდროებას მხოლოდ ზესხურა არღვევს. მოიერიშენი ჯაფარიძის ყინვარისკენ მიემართებიან. ამასობაში მოსაღამოვდა კიდეც. 6 საათია. გელა გუგავა და ზაქრო მუშკუდიანი კარვებს შლიან. დასვენებაა საჭირო, რადგანაც ხვალ ყინვარიდან უნაგირაზე უნდა ავიდნენ, საიდანაც ჩრდილოეთით ალ. ჯაფარიძის მწვერვალის პლატოზე დაეშვებიან.

ინათა თუ არა, მოიერიშენი გზას გაუდგნენ. ბურუსი ჩამოწვა. ამიტომაც ჩქარობენ ბიჭები. დაიწყო ქვის ცვენაც. თოკებით ჩაბმულნი თოვლიან ფერდობს გადალახავენ და კლდოვანი კულუარისკენ მიემართებიან. მოიერიშენი ბურუსში დაეშვნენ პლატოზე, ახლა ისინი ზღვის დონიდან 3200 მეტრის სიმაღლეზე არიან. სადილობენ, ისვენებენ და ქედზე ტოვებენ ტვირთის გარკვეულ ნაწილს.

მთამსვლელები ერთ საათში ჩავიდნენ ყინვარამდე, საიდანაც კარგად გამოჩნდა ალ. ჯაფარიძის მწვერვალის ტექნიკურად უაღრესად რთული, თუმცა შედარებით მოკლე (დაახლოებით 500-550 მ) კედელი, რომელსაც სიმაღლე რომ უწყობდეს ხელს, ალბათ, მეექვსე კატეგორიის მწვერვალად ჩაითვლებოდა.

გივი, ნუგზარი და ზაქრო მარშრუტის ერთ მონაკვეთს ამუშავებენ. ყველა კარგად გრძნობს თავს, ოღონდ ნუგზარს ქარმა ტუჩები დაუსუსხა და ისე აწუხებს, რომ გაცინებაც კი უჭირს.

საღამო ხანს გამოიდარა. ჩრდილოდასავლეთით გამოჩნდა აილამა. კომტანიც მშვენივრად გამოიყურება... ნუგზარსა და ზაქროს სძინავთ. არსენი განმარტოებულა და რაღაცას იწერს, მოიერიშეთა ჯგუფის ხელმძღვანელი კი ბეზინგის ხეობის რუკას ჩაჰკირკიტებს და ხვალინდელ მარშრუტზე ღრმად ჩაფიქრებულა.

— თიბვა ალბათ უკვე დაიწყო. მოხუცები დაგტოვეთ შინ. ისევ ნათესავები და ჩვენი ამხანაგები თუ მიეხმარებიან, — უთხრა არსენმა გელას.

— ასე იცის მწვერვალების სიყვარულმა. როგორც კი ზაფხული დადგება, რაც უნდა მოხდეს, რა დაბრკოლებაც უნდა შეგხვდეს, ყველაფერს გადალახავ და მწვერვალებისკენ გასწევ. ეს სწრაფვა უძლეველია, — თქვა გელამ.

„თუ რამე ცუდი გვიწერია, ღმერთმა ყველაფერი ისევ მე დამმართოს, თქვენ კი მშვიდობით დაუბრუნდით თქვენს ოჯახებს", — უნებურად გაიფიქრა ხელმძღვანელმა და იმანაც საძილე ტომარას მიაშურა.

ქარი თავაწყვეტით ასკდება კლდეებს. სიცივე ძვალსა და რბილში ატანს. უცებ ვეშაპივით დაიძრა შავი ღრუბელი და, თითქოს მტერს შეეჯახაო, იგრიალა ზეცამ. მაგრამ ბიჭებს მაინც არაფრის ეშინიათ. მთავარი ისაა, რომ მათს წინ აღმართულია კედელი, რომელზედაც ჯერ ფეხი არავის შეუდგამს. ძირიდან დაქანება 70-75 გრადუსს შეადგენს, მერე კი იგი მთლიანად ვერტიკალურია.

ისევ დაიწყო ქვათა ცვენა. ეტყობა, მწვერვალის წვერი დაშლილი ქანებისგან შედგება. რამდენიმე ფუთი სიმძიმის ქვები გამაყრუებელი გუგუნით ეხეთქება ნაპრალებში.

ძირს გაწოლილი შავი ღრუბლები თანდათან მაღლა მიიწევენ და თან საშინელი სუსხი მოაქვთ. ბიჭებს თითქოს შთანთქმას უპირებენ ხახადაბჩენილი უფსკრულები. კლდეები დანის პირივითაა ალესილი. ერთი გაუფრთხილებელი მოძრაობა, ერთი მცდარი ნაბიჯი და... სიცოცხლეც გათავდება... ყველაფერი ბეწვზე ჰკიდია, მაგრამ გივი წერედიანის ჯგუფის წევრებს ვაჟკაცური გული უცემთ მკერდში, მუხლიც ერჩით და არც მკლავის ღონე ღალატობთ.

დაპყრობილია მიუვალი კედელი. ახლა გეზი წურუნგალასკენ აიღეს. მოიერიშენი კლდეზე მიცოცავენ, ხან კარგავენ სიმაღლეს, ხან ისევ იღებენ. სუნთქვა ჭირს, მაგრამ ბიჭები არაფერს იმჩნევენ.

როგორც იქნა, სამ დღეში დამთავრდა წურუნგალა — აილამას ტრავერსი. უხარია გივის, ამ დაბილული ქედის დაპყრობა სახუმარო საქმე როდია.

ღამდება. მწვერვალები თანდათან იძირება სიბნელეში. საცაა მთვარეც ამოვა. ალპინისტების თავზე ვარსკვლავებით მოჭედილი ცაა გადმოპირქვავებული. დაბლა, ხეობებში, თეთრი ნისლია გაწოლილი. თითქოს რძის ზღვა დაგუბებულა, საიდანაც მწვერვალებს ამოუყვიათ თავები, გეგონებათ დახრჩობისა ეშინიათო. „ნისლი ფიქრია მთებისა, იმათ კაცობის გვირგვინი".

სუსხიანი ამინდია. სეტყვაც წამოვიდა. კლდის ქიმზე ისე ბნელა, თვალთან თითს ვერ მიიტან. ერთი კარვის დასადგმელი ადგილი ძლივს გამოიძებნა, ამიტომ ნუგზარს და არსენს გარეთ მოუხდათ დაძინება, თუმცა დაიძინეს კი? თოვდა, ნამქერი სახეს უწვავდათ...

დილითაც არ გამოიდარა. სადღაც კარვის შორიახლო მეხი გავარდა, თითქოს ცა ჩამოინგრა და ქვეყანას წარღვნას უქადისო. ისე ხვავიანად თოვს, ალბათ, კარგა ხანს არც გადაიღებს. სველი ტანსაცმელი ბიჭებს ზედ შეეყინათ. თავადაც რომ არ გაყინულიყვნენ, ერთმანეთს სპირტით დაუზილეს ტანი და ისევ გზის გაგრძელება არჩიეს.

ჯაფარიძიდან

რის ვაი-ვაგლახითა და წვალებით ნამყვამს მიუახლოვდნენ. ეს მწვერვალი სვანურ კოშკს წააგავს და ალბათ ამიტომაც დაურქმევიათ მისთვის შესაფერისი სახელი (ნამყვამ, ნამურყვამ — „ნაკოშკარი"). ყინულზე საფეხურების ჭრაა საჭირო. ნამყვამი სიმაღლით აილამას ბევრად არ ჩამოუვარდება (4278 მ). აქ განსაკუთრებით საჭიროა სიფრთხილე, გზის სწორი არჩევა, რადგანაც ერთდროულად ორი ქედი მიემართება: ერთი — სამხრეთ-დასავლეთით მწვერვალ ენგურისკენ, მეორე — ჩრდილო-დასავლეთით შხარისკენ. ეს უკანასკნელი ტრავერსის გზაა. ირგვლივ კვლავ სქელი ბურუსია ჩამოწოლილი და არც ისე ადვილია გარჩევა, რომელ ქედს უნდა აჰყვნენ.

ერთ ადგილას ნუგზარ ნიგურიანი ჩვეულებრივზე სწრაფად ეშვებოდა ორმაგი თოკით. მთელი სისწრაფით დასრიალდა ყინულოვან ფერდობზე. თუ ჩრდილოეთით გასცდებოდა მას, დაახლოებით ორ კილომეტრ-ნახევარი უნდა ეფრინა კლდეზე, არც აქეთ იყო ნაკლებ სახიფათოდ საქმე. სული არ ჩაჰყვებოდა უფსკრულამდე, მაგრამ სასწაული მოხდა, თუ მეგობრების თავდადებამ, ან თავისმა ვაჟკაცობამ უშველა, წერაყინის წყალობით ყინულზე შეჩერება მოახერხა. მართალია, ფეხი ძალიან ეტკინა, მაგრამ არაფერი შეუმჩნევია...

რვის ნახევარზე, როგორც იქნა, ღრუბლები გაიფანტა და გამოჩნდა კრიალა ზეცა. გრანდიოზული ცათამბჯენებით თვალს ჭრის მთელი ცენტრალური კავკასიონი დიგორიის მწვერვალებიდან უშბამდე. მოიერიშეებს თითქოს ხელისგულზე გადაეშალათ თავიანთი მარშრუტი: მეწამული მიხაკებივით ელვარებენ მზის შუქზე შხარა და ჯანღა, თითქოს ცეცხლი წაჰკიდებიათო.

ტრავერსის ფინიში — თეთნულდი — ისე ლაპლაპებს, გეგონებათ ვერცხლისწყალში ამოუვლიათო. მიუკარებელია ორთავიანი უშბა, მრისხანედ გამდგარა განზე, თითქოს თავის მშვენიერ პატარძალს ებუტება. ამაყად აღმართულა ცაში ჭირვეული უშბა და მზის სხივებში ნებივრობს. მთაში გავრცელებული ლეგენდის მიხედვით, თეთნულდი ულამაზესი, მაგრამ ამპარტავანი ასულია, რომელსაც ოდესღაც ერთი პირმშვენიერი სვანი ჭაბუკი უყვარდა. ვერ აიტანა მთვარემ მომეტებული ტრფიალება მზის ასულისა და უზომოდ დასაჯა შესანიშნავი წყვილი. და ასე, უხსოვარი დროიდან გაქვავებულნი დგანან თეთნულდი და უშბა ერთმანეთის პირისპირ — თეთნულდი მართლაც პატარძალს დამსგავსებია და ნაზად შესცქერის ზვიად მწვერვალს, მაგრამ სიყვარულის ცეცხლი კარგა ხანია ჩაჰქრობია ორივეს, რადგანაც მთვარემ გულები გაუყინა მათ.

გადათეთრებულია კავკასიონი. შორს, ცის კაბადონზე, უზარმაზარი ზვინივით მოჩანს ჭაღარა იალბუზი.

ბიჭებმა აიკრეს გუდა-ნაბადი და კვლავ გზა განაგრძეს. თანდათანობით უახლოვდებიან ცასა და მზეს. მიდიან ნელა, მძიმე ნაბიჯებით, ფრთხილობენ.

ბიჭები მშვენიერ გუნებაზე არიან. ამ ზღაპრული სანახაობის ხილვა მხო-





პატარების დიდი ლაშქრობა

გაჩერებას ცისფერი ტრამვაი მოუახლოვდა. მგზავრები ჩასასხდომად მოემზადნენ და... ტრამვაი არ გაჩერდა. ასე გამეორდა მეორედ და მესამედ, მეოთხედ. გაჩერებასთან მომლოდინე ხალხმა გაოცებით გადახედა ერთმანეთს. ტრამვაის ვაგონებიდან ბავშვების ჟრიამული ისმოდა. ისინი თბილისის 24-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები იყვნენ.

ჟრიამულმა რამდენიმე წუთში ტრამვაის ბოლო გაჩერებაზე — თბილისის ზღვის მისადგომებთან გადაინაცვლა.

10 საათია. უძირო, კამკამა ციდან მზე უხვად აფრქვევს სხივებს. ნელი სიო ჯეჯილივით ალივლივებს ზღვის ტალღებს. მოსწავლეთა არმიის „მთავარსარდალი", სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. მდივანი ბოლო განკარგულებას იძლევა. ბავშვების ნაკადი ორ ნაწილად იყოფა და იწყება ლაშქრობა. IX-X კლასების მოსწავლეები სანაპიროს მარცხენა მხარეს მიუყვებიან. მათ წინ 25 კილომეტრი უდევთ. მეშვიდე-მერვეკლასელები ამავე სანაპიროს 16-კილომეტრიან მონაკვეთს უტევენ. ყველაზე უმცროსები — IV-V-VI კლასების მოსწავლეები — 6-კილომეტრიან ტრასაზე გადიან.

ცოცხალი მდინარე მალე ზღვის ორივე მხარეს რამდენიმე ასეულ მეტრზე გაიჭიმა. გ. მდივანი თავისი „ჟიგულით" ხან ერთი სანაპიროსკენ გაგვაქროლებდა, ხან მეორისკენ, თან დროდადრო ჯგუფის ხელმძღვანელებს მითითებებს აძლევდა.

— ხუმრობა ხომ არ არის, ამ ღონისძიებაში რვაასამდე მოსწავლე მონაწილეობს, — ამბობს გიორგი. — მასობრივი ლაშქრობები სხვა დროსაც მოგვიწყვია, მაგრამ ტურისტულ ბილიკებზე ამდენი ბავშვი ერთად არ გამოგვიყვანია. ეს ლაშქრობა კომკავშირის 55-ე წლისთავს ეძღვნება. მინდა ყველაფერი კარგად დაგვირგვინდეს. დამხმარეები საკმაოდ მყავს: კლასის დამრიგებლები, მშობლები, პიონერთა ხელმძღვანელები — გულნარა გეგეშიძე, თამარ ჯაფოშვილი... ჩვენი მიზანია მშდ კომპლექსის ნორმატივების მასობრივად ჩაბარება, მოსწავლეთა გაჯანსაღება...

თბილისის ზღვაზე წასვლის წინ სკოლაში შევიარეთ. დერეფანში ფოტოსტენდია მოწყობილი. რამდენიმე სურათი ფიზკულტურის დარბაზშია გადაღებული. დარბაზი ახლა ორი აქვს სკოლას, სამი წლის უკან კი არც ერთი არ ჰქონდა. ფიზკულტურის გაკვეთილები სარდაფში ტარდებოდა. ახლა ამ სარდაფში ტირი მოაწყვეს და ტყვიის სროლის სექციის წევრები ვარჯიშობენ. ეზოში სახტომი ორმო გააკეთეს, მის მახლობლად კი ხელბურთისა და ფრენბურთის კომპლექსური მოედნის მოწყობაა განზრახული.

...ფინიშთან პირველნი მივიდნენ IV, V, VI და VIII კლასების მოსწავლეები. ბავშვებმა ცოტა დაისვენეს, მერე კი უჩვეულო ფეხბურთის თამაში დაიწყო. პირველნი სარბიელზე VII^1 და VII^2 კლასების ბიჭები გამოვიდნენ. ფეხებშეკრული ბავშვების თამაშმა უამრავი მაყურებელი მიიზიდა. მაგრამ ყველაზე მეტად ფეხბურთელებს, ცხადია, ამ კლასების გოგონები ამხნევებდნენ შეძახილებით.

თამაშის ძირითადი დრო ფრედ (1:1) დამთავრდა. ბრძოლის ბედი პენალტებმა გადაწყვიტა VII^2 კლასის მოსწავლეთა სასარგებლოდ — 3:2.

შემდეგ „მინდორზე" VII^3 და VII^4 კლასების მოსწავლეები გამოვიდნენ. ცოტა მოშორებით სხვა ჯგუფებმა ლახტი გააჩაღეს.

ფიზაღზრდის მასწავლებელი ხან ამ ბრძოლის ველს დასტრიალებდა, ხან უფროსკლასელებს მიაკითხავდა.

— ცეცხლივით კაცია. ძალიან უყვარს თავისი საქმე, — გვითხრა სკოლის დირექტორმა, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებულმა მასწავლებელმა უ. მეტრეველმა, — ჩვენთან 1960 წლიდან მუშაობს. მაშინ სკოლა სულ ბოლო ადგილზე რჩებოდა რაიონულ შეჯიბრებებში. ახლა მდივნის გულმოდგინე გარჯის წყალობით ჩვენი ნორჩი ფიზკულტურელები ძალიან დაწინაურდნენ. ბოლო წლებში კომპლექსურ ჩათვლაში სულ საუკეთესოთა ხუთეულში ვართ, ხოლო კალათბურთში, ფრენბურთსა და ფარიკაობაში რამდენიმეჯერ გავიმარჯვეთ სხვადასხვა ასაკის მოსწავლეთა შორის. ჩვენი ზოგიერთი მოსწავლე ქალაქისა და რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებშია.

დიახ, სკოლა თანდათან ძლიერდება. სწორედ ამ სკოლის აღზრდილია ცნობილი ქართველი ჩოგბურთელი თ. კაკულია. იმედია მის მაგალითს სხვა ნორჩი სპორტსმენებიც მიჰბაძავენ. წარმატების საწინდარია ფიზაღზრდის მასწავლებლების გ. მდივნის, ჯ. ჩალათაშვილის, რ. მიგდესაშვილის, მთელი პედაგოგიური კოლექტივის დაუღალავი მუშაობა, საქმის სიყვარული.

ამასობაში ფინიშთან უფროსკლასელებიც მოვიდნენ და მათაც გააჩაღეს სპორტული თამაშობანი.

15 საათი და 30 წუთია. „მთავარსარდალი" — სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი ბოლო განკარგულებას იძლევა. მზით გარუჯული, კმაყოფილი ბავშვები შინისკენ ბრუნდებიან.

ასე გაატარეს კვირა დღე თბილისის 24-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა თბილისის ზღვაზე.

ა. გურახაშვილი.

• • •

სურათებზე: მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მომენტები.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

თეთნულდამდე

ლოდ იმათი წილხვედრია, ვისაც მთამსვლელებს ეძახიან. ალპინიზმში ზოგნი მხოლოდ ეგზოტიკასა და რომანტიზმს ხედავენ. დიახ, არაჩვეულებრივად მომხიბლავია სპორტის ეს სახეობა, მაგრამ, ამასთანავე, მთამსვლელს სჭირდება დამქანცავი და მეტად საპასუხისმგებლო მუშაობა, რაც მისგან ნერვებისა და ნებისყოფის უდიდეს დაძაბვასაც მოითხოვს. რა სამწუხაროა, რომ ალპინისტების შფოთითა და მოუსვენრობით აღსავსე ცხოვრებას, მათს უმაგალითო თავგანწირვას მაყურებელი არა ჰყავს, რომ უცხოს არავის შეუძლია ამ დიდი ვაჟკაცობის, სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილის დანახვა.

ბიჭებმა ცოტა შეისვენეს და ვახშმის სამზადისს შეუდგნენ. წყალი მოსწყურდათ, გელამ პრიმუსზე თოვლი გაალხო. უცებ არსენს რაღაც შრიალი მოესმა, გვერდით მიიხედა და პაწია ჩიტი დაინახა, რომელიც საცოდავად მობუზულიყო. საოცარია, რამ ამოიყვანა ასეთ სიცივეში, 4000 მეტრ სიმაღლეზე? არსენმა ფოტოაპარატი მოიმარჯვა. ჩიტი არ მორიდებია ბიჭებს, არც შეშინებულა, პირიქით, თითქოს მადლიერი თვალებით შესცქეროდა მათ.

წინ კიდევ დიდი გზაა და ბიჭებიც წინ მიიწევენ. მოულოდნელად ჯონი ობოლაშვილის დაღუპვის ადგილს მიადგნენ. წამით შეჩერდნენ და შესანდობარი უთხრეს მეგობარს, თუმცა რა ჰქონდათ ჯონის ან სხვა, უდროოდ ფრთამოტეხილ არწივებს შესანდობარი?! მათ იოტისოდენა ცოდვა არ მიუძღოდათ ამ ქვეყნად, მთები უყვარდათ უზომოდ და ამ სიყვარულში ჩაიფერფლნენ კიდეც.

მწვერვალ ლილეზე ბიჭებმა მზის საგალობელი დააგუგუნეს. ამ ჰიმნს სვანები განთიადისას, გაჭირვების დროს, სიცოცხლის, ვაჟკაცობისა და მზის სადიდებლად მღეროდნენ და მხნეობა ემატებოდათ. ალბათ, ამიტომ თუ უყვარდა იგი ასე ძალიან „კლდის ვეფხვს" — მიხეილ ხერგიანს. და აი, ახლაც ცისკრის ხანია. მღერიან ბიჭები მხნედ, ვაჟკაცურად. გელა შესანიშნავად ლოტბარობს მათ, იგი ხომ რესპუბლიკური ოლიმპიადების ლაურეატია. მწვერვალები გრიალით თითქოს ბანს აძლევენ მომღერლებს.

ბიჭებმა გადაიარეს საპოვნელას ქედი და აი, დადგა მირანგულას ჯერიც. 1965 წელს ეს მწვერვალი ჯერ კიდევ მოუნათლავი იყო. როცა მიხეილ ხერგიანის (უმცროსის) მოიერიშე ჯგუფმა იგი დაიპყრო, ჯოკია გუგავას შინიდან შეატყობინეს, ვაჟი შეგეძინაო. მთამსვლელებმა დღეგრძელობა უსურვეს პატარას, მწვერვალს და მას ერთი და იგივე სახელი დაანათლეს და თანაც ისეთი წერილი დატოვეს, რომლის მოხსნა არავის შეუძლია, გარდა თვით მირანგულასი. გივი წერედიანის ჯგუფმა თითქმის ყველა მწვერვალზე მოხსნა წერილები, მირანგულას კი არ შეხებია. გივი ჯოკია გუგავას ბიჭის გაზრდას ელოდება (იგი ახლა ცხრა წლისაა). თუ მანამდე ცოცხალი ვიქნები, მე უნდა წავიყვანო მირანგულა მირანგულაზეო.

მერე ბიჭები „აილამაში" დარჩენილთ დაუკავშირდნენ და უშგულის კედლის ძირას დაეშვნენ. აქ მათ დახვდნენ მეთვალყურე ჯგუფის წევრები ვახტანგ საბანიძე და ალექსანდრე გაზდელიანი. ორივე ჯგუფის მუშაობას ბანაკიდან ადევნებდნენ თვალყურს მისი დირექტორი, სასწავლო ნაწილის გამგე — უფროსი ინსტრუქტორი, სპორტის ოსტატი პავლე დევიძე, სამაშველო რაზმის უფროსი — საქართველოში სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ალპინიზმში საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი პირველი ოსტატი, დამსახურებული მწვრთნელი სანდრო გვალია და სხვები.

ბიჭებმა დაიწყეს უშგულის კედლის დათვალიერება. მისი სიგრძე დაახლოებით 700-800 მეტრია. დასაწყისი ყინულოვანია, 40-50 მეტრის მანძილზე არც ისე დიდი დაქანებისაა, მერე კი თითქოს წელში იმართება და თავდება ორი სამკუთხა, ვერტიკალური კედლით. უშგულის კედელი მკაცრად გამოიყურება, თითქოს შორიდან აშინებს ჩვენს ბიჭებს, მაგრამ მაინც ქალღმერთივით წარმტაცი. სადღაც ქვევიდან ყრუდ ისმის მდინარის ხმა. ეს ენგურია, იგი შხარასთან იბადება, მისი პირმშოა, ამიტომაც მასავით შეუპოვარია და დაუნდობელი.

პირველი მონაკვეთი შედარებით იოლად გაიარეს, რადგანაც წინა დღის დამუშავებული ჰქონდათ, მერე კი გაუძნელდათ. საჭირო იყო უმაღლესი ალპინისტური ტექნიკის გამოყენება, იჭრებოდა ყინულის საფეხურები, ზოგმა ზურგჩანთაც მოიხსნა. მტკიცედ იცავდნენ ერთმანეთს, ისმოდა ჩაქუჩის ხმა და პალოს „სიმღერა". ზოგჯერ ისვენებდნენ კიდეც თოკის კიბეზე (თუ ამას დასვენება ჰქვია!). უკვე შუა კედელზე იყვნენ, ლაპარაკი რომ გაიგონეს. სპორტის ოსტატის შამილ დადეშქელიანის ჯგუფი ასულა „ბურევესტნიკზე" და იქიდან გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა გივი წერედიანის ჯგუფს.

შუადღისას ამინდი კვლავ გაფუჭდა. ძალიან დასველდნენ, მაგრამ მაინც წინ მიიწევდნენ. საღამოს 8 საათზე მიაღწიეს მწვერვალს, აანთეს „ფუნუხი" და მიეფიცხნენ, მაგრამ ეს რას უშველიდა გათოშილ ბიჭებს?!

24 აგვისტოა. უშგულიდან აღმოსავლეთით, შხარისკენ, კვლავ გაუვალი კედელი მიჰყვება. ბიჭებმა იერიში დაიწყეს. წუხანდელი თოვლი ვულკანის ნაკადულებად მიმოფანტულა აქეთ-იქით, ამიტომ ძნელდება პალოების ჩასარჭობი ნაპრალების მოძებნა, რასაც მეტი დრო მიაქვს. ბოლოს მიაღწიეს შხარის წვერს (5202 მ). იგი ისეა დაფარული ძველი და ახალი თოვლით, რომ წერილის მოხსნა შეუძლებელი აღმოჩნდა.

მწვერვალიდან 100-150 მეტრის მოშორებით მთამსვლელებმა კარვები გაშალეს, მაგრამ ქარზე ალქაჯივით ამხედრებული თოვლი კარავშიც დათარეშობს.

ფინიშამდე სულ რამდენიმე დღეღა დარჩა. მოიერიშეებმა დაიპყრეს რუსთაველის, ჯანღისა (სამივე წვერი) და კატინ-თაუს მწვერვალები.

ყველაზე მკაცრად ჯანღა შეხვდათ. საშინელი ბურუსი იყო. ქარში გზის გაგნება ჭირდა, მით უმეტეს, რომ ამ მწვერვალზე ისინი პირველად იყვნენ. კარვის გასაშლელი ადგილი ვერსად იპოვეს, ამიტომ ჯგუფის ხელმძღვანელმა გადაწყვიტა წინ წასულიყო, თუმცა არც კი იცოდა, სწორად მიდიოდა თუ არა. საღამოს 7 საათი იყო. კიდევ უფრო ჩამობნელდა. მოიერიშენი ჯანღის დასავლეთ წვერიდან 200 მეტრის დაშორებით აღმოჩნდნენ, მაგრამ იძულებული გახდნენ, უკან დაბრუნებულიყვნენ. ბიჭებმა თოვლის ბელტები მოჭრეს ქარსაცავის ასაგებად. დიდი წვალების შემდეგ, როგორც იქნა, დადგეს კარავი, მაგრამ შუაღამისას ქარმა იმძლავრა და დაანგრია საცავის კედელი, რომელთანაც გელა იწვა. ძალიან ძნელი იყო თოვლის საფარქვეშ ყოფნა, მაგრამ უკუნ ღამეში ადგილიდან ვერავინ დაიძრა.

დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. გათენდა თუ არა, მოიერიშენი უჭმელ-უსმელნი დაადგნენ გზას და ოთხ საათამდე არც ერთს არ შეუსვენია. მალე ისინი მიადგნენ მწვერვალს „ცეცხლი ამირანისა".

და აი, მოვიდა 29 აგვისტოც. კი არ ავიდნენ, თითქოს აფრინდნენ თეთნულდზე, მერე კი ბადიშის ყინვარით დაეშვნენ ძირს. „ახლაც არ ვიცი, როგორ ჩამოვედით. ხანდახან მგონია, რომ ვიღაცამ მშვენიერი, მაგრამ ჯადოსნური ამბებით აღსავსე ზღაპარი მიამბო... ტრავერსი უაღრესად რთული იყო, მაგრამ ვამაყობდით იმით, რომ ჩვენი მწვანე შუშხუნები მომავალში გზას გაუკაფავდა „აილამაში" დარჩენილთ", — გვითხრა გივი წერედიანმა.

დიახ, გამარჯვებული დაბრუნდნენ ბანაკში ბიჭები. 17 დღის განმავლობაში მათ დაიპყრეს 18 ძირითადი მწვერვალი ისე, რომ არც ერთხელ არ დაშვებულან ძირს. ალპინისტებმა გაიარეს დაახლოებით 80 კილომეტრი. ხუთი ახალი გზა, მათ შორის სამი ისეთი კედელი, რომლებზედაც ფეხი ჯერ არავის შეუდგამს.

აი, რა თქვა ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტისა და ალპინიზმის ფედერაციის წარმომადგენელმა, სპორტის ოსტატმა პროფესორმა აბრამ კიკოინმა: „ეს ჯგუფი უდავოდ მთავრული ასოებით დასაწერი სპორტის ოსტატთა ჯგუფია, რომელსაც საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი, შესანიშნავი ალპინისტი გივი წერედიანი მეთაურობს. მართალია, მის ბიჭებს ჯერ არა აქვთ სპორტის ოსტატის წოდება, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. თავიანთი სპორტული ფორმით, ტექნიკით, მომზადების დონით, სიძლიერითა და ამტანობით ისინი ჭეშმარიტი სპორტის ოსტატები არიან. ეს არის არა ჩვეულებრივი ასვლა, არამედ უთუოდ — განსაკუთრებული, თვალსაჩინო... გივი წერედიანმა მრავალგზის დალაშქრა კავკასიონის, ტიანშანის, პამირის მწვერვალები და, ეტყობა, ყველა მათგანმა უზიარა მას ნებისყოფა, მხნეობა და გაუტეხელი ვაჟკაცობა".

თქვენი დღეგრძელობისა იყოს, ბიჭებო!

იზა ჩანტლაძე,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

გ. წერედიანი

ჯ. გუგავა

ზ. მუშკუდიანი

ნ. ნიგურიანი

ა. რაძიანი

კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პრიზზე

ამას წინათ ბათუმის ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე ფინიში ჰქონდა საინტერესო შეჯიბრებას: კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პრიზის გათამაშებას მძლეოსნურ ესტაფეტაში მოსწავლეთა შორის. სტარტზე გამოვიდა 25 სკოლის 375 სპორტსმენი. თითოეული გუნდის შემადგენლობაში 5 გოგონა და 10 ჭაბუკი შედიოდა. ესტაფეტა თხუთმეტი ეტაპისგან შედგებოდა.

სტარტიდან დაწინაურდნენ მე-20 რუსული საშუალო სკოლის წარმომადგენლები, რომელთაც მოიპოვეს კიდეც გამარჯვება. II ადგილზეა მე-8 სკოლის გუნდი, მესამე იყო მე-15 სკოლის კოლექტივი.

მე-20 რუსული საშუალო სკოლის (ფიზაღზრდის მასწავლებელი ვ. მუსხელიშვილი) გუნდი კომკავშირის ბათუმის კომიტეტის გარდამავალი პრიზითა და პირველი ხარისხის სიგელით დაჯილდოვდა.

ამ საინტერესო ღონისძიებას რატომღაც თავი აარიდეს მე-13, მე-16, 23-ე საშუალო სკოლების, აგრეთვე, № 2 სკოლა-ინტერნატის გუნდებმა.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი

● „მაღაროელი" (ჭიათურა) — „დინამო" (ზუგდიდი) 0:0. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).

რესპუბლიკის ჩემპიონატის მატჩებში იშვიათია ასეთი უდისციპლინობა და წესრიგის დარღვევა. ჯერ კიდევ მე-5 წუთზე მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილება მიეცა „მაღაროელის" კაპიტანს თ. მაღრაძეს, რომლისთვისაც წლეულს ეს უკვე მეორე გაფრთხილებაა. გაფრთხილებულია, აგრეთვე, ზუგდიდელი ნ. ზვანბაია. შემდეგ ხულიგნური საქციელისთვის მსაჯმა მინდვრიდან გააძევა ჭიათურელი ა. კენჭაძე და ზუგდიდელი ა. კემულარია. მატჩის დამთავრების შემდეგ მსაჯს შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა ჭიათურელმა ფეხბურთელმა ბ. სევასტოპულომ. ამას გარდა, გულშემატკივართა ერთი ნაწილი გასახდელთან დახვდა მსაჯებს და უცენზურო სიტყვებით გაუმასპინძლდა მათ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისია თავის სხდომაზე იმსჯელებს ამ მატჩზე და მკაცრად დასჯის დამნაშავეებს.

● „კახეთი" (თელავი) — „სულორი" (ვანი) 1:1. მსაჯი ე. ჩიბჩიაური (თბილისი).

თელაველი რევაზიშვილის მიერ მეორე ტაიმში გატანილი გოლი მალე ვაქქითა გეფერიძემ.

● „მეშახტე" (ტყიბული) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 1:1. მსაჯი ა. ჯანანაშვილი (თბილისი).

● „მაღაროელი" (ჭიათურა) — „მარტვილი" (გეგეჭკორი) 1:1. მსაჯი თ. ფანიაშვილი (თბილისი).

ამ მატჩშიც „გამოიჩინა" თავი ჭიათურელმა თ. მაღრაძემ. მანამდე მიღებული ორი გაფრთხილებისთვის იგი თამაშში არ მონაწილეობდა, მაგრამ საკუთარ თავს უფლება მისცა შეურაცხყოფა მიეყენებინა მსაჯებისთვის. გამოუსწორებელი ხულიგანი შეუფერებელია საბჭოთა სპორტისთვის.

● „მეტალურგი" (რუსთავი) — „სამცხე" (აწყური) 4:2. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).

მეტალურგებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ თამაშის მსვლელობაში. ორი ბურთი გაიტანა სიმონიშვილმა, თითო — მიქაშავიძემ და კაჭახიძემ. აწყურელთა მხრივ საპასუხო გოლები გაიტანეს ტოლოკოლნიკოვმა და დემეტრაძემ.

● „ალაზანი" (გურჯაანი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 4:1. მსაჯი ა. მჭედლიძე (თბილისი).

გურჯაანელმა ფეხბურთელებმა საუცხოოდ ითამაშეს ამ მატჩში. ისინი დაწინაურდნენ ჯერ კიდევ მე-2 წუთზე (რაზმაძე), შემდეგ კი ბეროშვილმა ზედიზედ 3 ბურთი გაიტანა „ქართლის" კარში. გორელებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ თავი დააღწიეს „მშრალი" ანგარიშით დამარცხებას (ბაქრაძე).

● „ივერია" (ხაშური) — ასკ (თბილისი) 2:1. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (ქუთაისი).

გაფრთხილებულია არმიელი ა. ივანოვი.

● „ეგრისი" (ცხაკაია) — „კოლხეთი" (ფოთი) 1:2. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

მატჩი ძალიან საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა. მასპინძლებს დასაწყისშივე მიეცათ ანგარიშის გახსნის რამდენიმე შესაძლებლობა, მძიმე დატვირთვა დააწვა „კოლხეთის" მეკარე ქანთარიას. ასე განაგრძობდნენ ცხაკაიელები იერიშებს, მაგრამ 29-ე და 30-ე წუთებზე სტუმრებმა ორი კონტრშეტევა განავითარეს და ჯოჯუამ ორივეჯერ გოლით დაამთავრა ეს შეტევები. შესვენების შემდეგ „ეგრისი" ბევრს ეცადა თავი დაეღწია დამარცხებისთვის, მაგრამ შეძლო მხოლოდ ერთი საპასუხო ბურთის გატანა და ისიც — 11-მეტრიანით (ქაჩიბაია).

გაფრთხილებული არიან ხობელი ფ. გოცირიძე და ცხაკაიელი ბ. დარახველია.

● „შუქურა" (ქობულეთი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 1:2. მსაჯი ზ. თოდაძე (ქუთაისი).

თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს ნუცუბიძემ და წიკლაურმა, ქობულეთელთაგან — კვირკველიამ.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებულია „შუქურას" ფეხბურთელი ვ. ფომინი.

● „დინამო" (ზუგდიდი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

შეუპოვარმა ბრძოლამ წარმატება მასპინძლებს მოუტანა. გოლი 25-ე წუთზე გაიტანა კვერიშვილმა.

უდისციპლინო საქციელისთვის გაფრთხილებულია თბილისელი ტ. წიკლაური.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალ." (რუსთავი)	27	16	9	2	48-18	41
„დინამო"	24	17	6	1	50-17	40
ფიზკ. ინსტ.	26	13	7	6	41-25	33
ასკ	26	10	10	6	44-27	30
„კოლხეთი"	29	9	12	8	35-32	30
„ივერია"	28	10	9	9	36-39	29
„მაღარ."	28	9	10	9	36-30	28
„ქართლი"	28	10	8	10	46-46	28
„სულორი"	27	7	13	7	35-39	27
„მეშახტე"	27	8	10	9	42-42	26
„კახეთი"	26	10	6	10	35-42	26
„შუქურა"	27	8	8	11	32-33	24
„მეტალ." (ზესტაფ.)	28	6	10	12	39-41	22
„ეგრისი"	26	8	6	12	37-43	22
„ლოკომ."	27	7	8	12	33-44	22
„მარტვ."	27	7	7	13	22-41	21
„სამცხე"	28	7	5	16	43-61	19
„ალაზანი"	27	7	4	16	35-69	18

II ჯგუფი

I ზონა

„განთიადი" (ბორჯომი) — „ვარძია" (ასპინძა) 1:1, „ყინწვისი" (ქარელი) — „ავტომობილისტი" (ცხინვალი) 2:3, „მესხეთი" (ახალციხე) — „რუბეროიდი" (გარდაბანი) 1:1, „მეგვენახე" (ვაზისუბანი) — „ვაზი" (შრომა, გურჯაანის რაიონი) 2:1, „არაგვი" (დუშეთი) — „კოლმეურნე" (ტიბაანი) 5:2, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „შევარდენი" (თბილისი) 3:3. ასპინძის „ვარძიას" მოგება ჩაეთვალა დუშეთის „არაგვთან".

II ზონა

„განახლება" (ადიგენი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 1:5, „დიოსკურია" (სოხუმი) — „გიგანტი" (ლაითური) 0:0, „სქური" (წალენჯიხა) — „განახლება" (ადიგენი) 3:2, ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 2:1, „ფეიქარი" (ქუთაისი) — „კოლმეურნე" (წულუკიძე) 1:1, „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) — „იმერეთი" (თერჯოლა) 2:2, „ჩიხურა" (საჩხერე) — „დიოსკურია" (სოხუმი) 0:0, „მზიური" (გალი) — „გიგანტი" (ლაითური) 1:3.

* * *

დარჩენილი შეხვედრების მიუხედავად, ოჩამჩირის „ამირანმა" II ზონაში I ადგილი დაიკავა და გაისად რესპუბლიკის ჩემპიონატის I ჯგუფში მიიღებს მონაწილეობას.

ზონალური პირველობა

მადნეულის კომბინატი (ბოლნისი) — „ავიატორი" (ქუთაისი) 5:1, „მეცემენტე" (კასპი) — „კოლმეურნე" (ლანჩხუთი) 0:0.

სპორტის მოყვარულთა საყურადღებოდ!

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (რუსთაველის პრ. № 3) გამოფენილია „კოლუმბის თასი", რომელიც თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა მოიპოვეს ესპანეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირში.

ექსპონატის ნახვა შეიძლება ყოველდღე (გარდა ორშაბათისა), 10-დან 16 საათსა და 30 წუთამდე.

ვიქტორ სანეევი

სანეევი გახლავთ ის ერთადერთი მძლეოსანი ოლიმპიელი, რომელმაც მეხიკოში მოპოვებული ჩემპიონის სახელი მიუნჰენშიც შეინარჩუნა. იგი არასოდეს უჩივის ზომაზე მეტ სიცხეს თუ სიცივეს. იგი არც მაშინ ჩივის, როცა ქარიან ამინდში უწევს ხტომა, არც მაშინ გამოხატავს დიდ აღტაცებას, როცა შეჯიბრება წყნარ ამინდში ტარდება. იგი უკმაყოფილებას არ გამოთქვამს და ზოგიერთებივით პროტესტს არ აცხადებს, როცა ასპარეზობა მაღალმთიან რაიონებში ან ზღვასთან ახლოს ეწყობა. ერთი სიტყვით, მისთვის ყველაფერი სულ ერთია, ის „ყველა კერძს სიამოვნებით მიირთმევს“.

სამხტომი მძლეოსნობის ერთ-ერთი რთული და ძალიან ძნელი დისციპლინაა. სამმხტომელი ნამდვილი, სრულყოფილი მამაკაცი უნდა იყოს, ფოლადის კუნთებისა და მტკიცე ნებისყოფის მქონე. მიუნჰენის ოლიმპიური თამაშების წინ ვიქტორ სანეევს ქუსლი სტკიოდა. მას უკვე აღარავინ აგდებდა სათვალავში, აღარავის მიაჩნდა ფავორიტად და ხელებს უზრუნველად იფშვნეტდნენ. მაგრამ რა იცოდნენ ოლიმპიური ტახტის მაძიებლებმა, რომ მათს ოცნებებს ახდენა არ ეწერა. ზუსტად 12 საათზე შუა ევროპის დროით ვიქტორმა დასძლია ნორმა, რომელმაც მას მეორე ოლიმპიური ოქროს მედალი მოუპოვა, დანარჩენები კი ისევ კრონპრინცის როლში დატოვა...

სანეევი სამხტომის „17-მეტრიანი სკოლის“ ერთ-ერთი ფუძემდებელია. მისი საწვრთნელი მეთოდები სპორტის უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოდ იქცა, ყველა მეტოქე და ახალბედა მას ჰბაძავს.

მიუხედავად ამისა, სპორტი ვიქტორისთვის მაინც გასართობია. სანეევი სუბტროპიკული მცენარეების ინჟინერ-აგრონომია — მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობით ჩაი გამოჰყავს, ამ ბოლო ხანს კი თამბაქოს კულტურაზეც დაიწყო მუშაობა.

ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი (17,44 მ) ბილიკის დატოვებას აპირებს, მაგრამ ამ გადაწყვეტილების პრაქტიკულად განხორციელებამდე აი, რას ამბობს: „ჩემი აზრით, სამმხტომელები მალე გადალახავენ 18-მეტრიან ზღვარს. როგორც გენებოთ, ისე ჩამოწართვით — მე მინდა ისინი გამოვიწვიო, გავაქეზო, გეზი მივცე და პირადი შედეგი 17.70 მეტრამდე ავიყვანო. დამშვიდებული და ვალმოხდილი მხოლოდ ამის შემდეგ დავტოვებ დიდ სპორტს და საბოლოოდ მივაშურებ ორანჟერეებს“.

> „ჩემი აზრით, შორს არ არის ის დღე, როცა სამხტომში 18 მეტრს გადალახავენ. ვინაიდან კიდევ ორ წელიწადს ვაპირებ სარბიელზე დარჩენას, რა იქნება, ეს ფანტასტიკური ოცნება მე ამიხდეს?“

ისევ გამოჰყავს ჩაი

შარშან, მიუნჰენიდან დაბრუნებისთანავე დაქორწინდა და თავის ლამაზ, შავგრემან ცოლს საქორწინო საჩუქრად ოლიმპიური ოქროს მედალი მიართვა...

სანეევს ხან კენგურუს ეძახიან, ხან მეფეს. მაგრამ მას არც ერთი ეს „ტიტული“ არ უხდება. ვიქტორი ერთი საოცრად უბრალო, ჩვეულებრივი ახალგაზრდა კაცია, რომელმაც ზუსტად და შეუცდომლად იცის, რაც უნდა, რაც სჭირდება.

მსოფლიოს თასის გათამაშების წინ

მეხიკო, 16 ოქტომბერი. სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა მექსიკის ეროვნულ გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 3:0 (15:10, 15:12, 15:5).

საბჭოთა ფრენბურთელები მექსიკაში კიდევ ერთხელ ითამაშებენ, მერე კი ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში გაფრინდებიან მსოფლიოს თასის პირველ გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად. სსრ კავშირის ქალთა ნაკრები წინასწარ შეხვედრებს მეორე ქვეჯგუფში ჩაატარებს რივერაში.

პირველ ქვეჯგუფში (მერსედესი) იასპარეზებენ არგენტინის, იაპონიის, კანადის, პერუსა და ურუგვაის სპორტსმენი ქალები.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

კიევის „დინამოს“ მეტოქე მხოლოდ VIII ადგილზეა

დანიის საფეხბურთო ჩემპიონატში უძლიერესის ტიტულს 12 გუნდი ეცილება ერთმანეთს. 18 ტურის შემდეგ გათამაშებას ლიდერობს „კბ კოპენჰაგენი“, რომელსაც 22 ქულა აქვს (ბურთების შეფარდება — 36:35). ბოლო ტურში კოპენჰაგენელებმა თავიანთ მინდორზე მხოლოდ უაღრესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ სძლიეს „ოლბორგს“ — 3:2.

რაც შეეხება უეფა-ს თასის გათამაშებაში კიევის „დინამოს“ მეტოქეს — კოპენჰაგენის ბ 1903-ს, იგი მხოლოდ VIII ადგილზეა — 17 თამაშიდან 16 ქულა აქვს (ბურთების ბალანსი — 18:19).

„ფილის“ ოცდაორი რეგბისტი

მოსკოვის სპორტკლუბ „ფილის“ რეგბისტებმა მესამედ გაიმარჯვეს ქვეყნის ჩემპიონატში. გაიმარჯვეს ვადამდე — ფინიშამდე ორი ტურით ადრე, როცა 12 მატჩში 22 ქულა დააგროვეს. გაგაცნობთ წლევანდელ ჩემპიონებს: ი. კიიანოვი, ნ. გავრილოვი, ა. კოროლჩუკი, ე. მელნიკოვი, ა. კორნეევი, ვ. ლარინი, ი. ლიხაჩოვი, ხ. შვეიცი, ა. ვანიუშკინი, ბ. იუდინი, ბ. ბლინიკი, ბ. ივაშოვი, გ. ნეკრასოვი, ი. მირონოვი, ა. სამოზვანოვი, ა. ბელიაევი, მ. გრაჟდანი, ლ. კულებიაკინი, ე. ისიანოვი, ვ. ვინოგრადოვი, ა. კაჩანოვი და გუნდის მოთამაშე მწვრთნელი, მისი კაპიტანი ბ. გავრილოვი.

— რატომ მიანიჭეთ უპირატესობა რეგბის სხვა სახეობებთან შედარებით? რა იყო თქვენთვის მთავარი წლევანდელ სეზონში? — საკდესის სპორტულმა რედაქციამ ამ შეკითხვებით მიმართა მწვრთნელს, ქვეყნის სამგზის ჩემპიონს გავრილოვს და გუნდის ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშეს, 18 წლის მირონოვს.

გავრილოვი: მე რეგბი სპორტის ყველაზე უნივერსალურ სახეობად მიმაჩნია, სადაც სპორტსმენს შეუძლია გამოიჩინოს ძალაც, მოქნილობაც, სიმამაცეც. ამ თამაშში წარმატებისთვის აუცილებელია მშვიდი ნერვები, სიდინჯე, გამოცდილება. ამიტომაა, რომ გუნდში საპატიო ადგილი უკავიათ ვეტერანებს. მაგალითად, ახალგაზრდებთან ერთად წარმატებით თამაშობენ 37 წლის ბლინიკი, შვეიცი.

წლევანდელი სეზონი ჩვენთვის საუკეთესო იყო. წლეულს სულ სხვადასხვა „პარტიტურით“ ვთამაშობდით — არც მწვავე იერიშს ვერიდებოდით, არც ზუსტ დაცვას. ანგარიშით 22:3 დავამარცხეთ ქვეყნის პირველობებში ორგზის გამარჯვებული კოლექტივი — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი. ჩვენი განმეორებითი შეხვედრა სანახაობრივად იმდენად საინტერესო არ გამოდგა. მატჩი არც მწვავე იერიშებით გახლდათ მდიდარი, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ გამარჯვება მოვიპოვეთ (9:6). მფრინავები სეზონში ორჯერ მანამდე არ დაგვიმარცხებია.

მირონოვი: მე ფეხბურთსაც ვთამაშობდი, ჰოკეისაც, მაგრამ მერე სპორტკლუბ „ფილის“ რეგბის სექციაში მოვედი, სადაც გავრილოვთან ერთად დიდ მუშაობას ეწევა მწვრთნელი ჩეჩენკოვი. ძალიან გამიტაცა ამ თამაშმა. კარგია, როცა ღონიერი და მამაცი ხარ, მაგრამ ეს თვისებები ადამიანს დაბადებით არ დაჰყვება. აქ ერთგული დამხმარეა სპორტი, პირველ ყოვლისა — რეგბი. 1973 წელი ჩემთვის ორმაგად იღბლიანი აღმოჩნდა: მთავარ შემადგენლობაში შემიყვანეს და სსრ კავშირის ჩემპიონიც გავხდი. „ფილიში“ რეგბის ბავშვთა გუნდებიც თამაშობენ და უფროსებიც (სულ 120 კაცი). წვრთნისათვის გვითმობდნენ საუკეთესო დარბაზებს, მინდვრებს...

ლაპარაკობს სპორტკლუბ „ფილის“ თავმჯდომარე ნ. ბრედოვი, რეგბის „პირველი გულშემატკივარი“, როგორც თავად რეგბისტები ეძახიან.

— მე მომწონს რეგბი. აქ განსაკუთრებით იგრძნობა სპორტული აზარტი, სიმამაცე, კოლექტივიზმი. როგორც გულშემატკივარს, ძალიან მიხარია ჩვენი ბიჭების წლევანდელი წარმატება.

ვერ ვიტყვი, რომ რეგბი ჩვენი კლუბის ერთადერთი გატაცება იყოს. „ფილი“ განთქმულია თავისი მოჭიდავეებით, ტანმოვარჯიშეებით, ველოსიპედისტებითაც. ჩვენი აღზრდილები არიან სსრ კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, მოციგურავე ვერა სუროვიკინა, მოციგავეები ნინა შაშკოვა და ვლადიმერ შიტოვი... სულ კლუბში 32 სახეობაა დანერგილი.

რეგბისტები მარტო იმიტომ როდი გვიყვარს, რომ სამგზის ჩემპიონები არიან. ეს ბიჭები მაგალითს აძლევენ სხვებს შრომისმოყვარეობითაც და სწავლითაც. „ფილის“ რვა რეგბისტმა უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა, ხოლო ბლინიკი ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატია. მალე გუნდის კიდევ ოთხი წევრი მიიღებს ინჟინრის დიპლომს.

ვ. პიმენოვი.
(საკდესის კორ.).

მოსკოვი.

• • •

სურათზე: „ფილის“ რეგბისტები. დგანან (მარცხნიდან) — ს. ჩერჩენკოვი (გუნდის მწვრთნელი), ა. ბელიაევი, ა. კაჩანოვი, ა. კოროლჩუკი, ა. კორნეევი, ა. ვანიუშკინი, ი. ლიხაჩოვი, ხ. შვეიცი, ბ. ბლინიკი, ე. მელნიკოვი, ვ. ლარინი, ბ. იუდინი; სხედან — ი. კიიანოვი, ე. ისიანოვი, ბ. ივაშოვი, გ. ნეკრასოვი, ბ. გავრილოვი (გუნდის კაპიტანი და მოთამაშე მწვრთნელი), მ. ნოვიკოვი, ლ. კულებიაკინი, ი. მირონოვი, ნ. გავრილოვი.

ა. იაკოვლევის ფოტო.
(საკდესი).

უმაღლესი მოგება — 5000 მანეთი

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ 28-ე ტირაჟისა, რომელიც 10 ოქტომბერს ზაპოროჟიეში მოეწყო. ამ ტირაჟში ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის დაწესებული მოგება — 5000 მანეთი 73 კაცს ხვდა. ოთხი ნომრის სწორად გადახაზვისთვის მოგება 87 მანეთია, სამის გამოცნობისთვის — 3.

ჩვენი რესპუბლიკიდან მაქსიმალური მოგება ორმა კაცმა მიიღო. 154 კაცს ოთხი სახეობის გამოცნობისთვის 87-87 მანეთი ხვდა, ხოლო 3411 მონაწილეს სამი ნომრის სწორად გადახაზვისთვის — 3-3 მანეთი.

„სპორტლოტოს“ სხვადასხვანაირად თამაშობენ: ცალ-ცალკე, ოჯახებით. ქუთაისის ავტოკოლონის შოფერმა გ. კორძაძემ ერთ-ერთ ტირაჟში „სპორტლოტოს“ 40 ბილეთი იყიდა. თამაშში მთელი ოჯახი ჩაება, ციფრებს კორძაძის მეუღლე და ქალიშვილი არჩევდნენ. ერთ-ერთ ბილეთზე კორძაძეებმა ხუთი ნომერი გადახაზეს სწორად და 3825 მანეთი მოიგეს.

გაერთიანება „თბილთამბაქოს“ მუშა გ. ლობჟანიძე მუდამ ცალკე თამაშობს, მაგრამ იმავე ტირაჟში 3825 მანეთი მოიგო.

კოლექტიური თამაშის თავისებური რეკორდი დაამყარეს „ბამკომპლექტსნაბსბიტის“ სამმართველოს მუშაკებმა. ინჟინერი რ. ივანოვი 12 კაცს ჩაუდგა სათავეში. მათ ერთად შეავსეს 100 ბილეთი და ათზე სწორად გადახაზეს 5-5 ნომერი. მოგებამ 36950 მანეთი შეადგინა.

28-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 21 ოქტომბრიდან 20 ნოემბრის ჩათვლით.

„სპორტლოტოს“ შემდეგი ტირაჟი 20 ოქტომბერს მოეწყობა მოსკოვში.

ნ. ლონლაძე,
„სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალური სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ჩვენი მისამართი ტელეფონები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 380096, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-44, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 12888